## გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების შესახებ ზოგადი კითხვების პასუხები

1. შეუძლიათ მეძუძურ ქალებს გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების გამოყენება?

***პასუხი: დიახ.*** *ქალს, რომელიც იყენებს ლამ-ს, რაც ერთ-ერთი კონტრაცეპტული მეთოდია, არ სჭირდება გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების მიღება. მაგრამ თუ ქალი დამატებით საკვებს აძლევს თავის შვილს და განუახლდა მენსტრუაცია მშობიარობის შემდეგ, შეიძლება ორსულობის რისკის ქვეშ იყოს. გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების ერთჯერად გამოყენებას ძუძუთი კვებისას დედის რძის რაოდენობაზე ან ხარისხზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა არ შეუძლია. ზოგიერთმა ჰორმონმა შეიძლება შეაღწიოს დედის რძეში, მაგრამ შეუძლებელია, რომ ბავშვზე უარყოფითად იმოქმედოს.*

2. შეიძლება სამფაზიანი პერორარული კონტრაცეპტული აბების როგორც გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების გამოყენება?

***პასუხი:*** *სამფაზიანი პერორალური კონტრაცეპტივები შეიცავს სხვადასხვა დოზის ჰორმონებს, სათანადო აბების შერჩევა შეიძლება უფრო რთული იყოს (მხოლოდ 0.125მგ ლევონორგესტრელის შემცველი აბების გამოყენებაა შესაძლებელი). უმჯობესია, გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების გამოყენების ინსტრუქციები, რაც შეიძლება მარტივი ენით თუ იქნება დაწერილი; ამიტომ სამფაზიანი პერორალური კომბინირებული კონტრაცეპტული აბები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ როგორც შემცვლელი, როდესაც ლევონორგესტრელის შემცველი სტანდარტული კომბინირებული კონტრაცეპტული აბები არაა ხელმისაწვდომი.*

3. შეიძლება მხოლოდ პროგესტინის შემცველი აბების გადაუდებელი კონტრაცეპციისთვის გამოყენება?

***პასუხი:*** *დიახ. ზოგიერთ ქვეყანაში განსაკუთრებული პროგესტინის მაღალი დოზით შემცველი აბები – პოსტინორი, რომელიც 0.75 მგ. ლევონორგესტრელს შეიცავს, იყიდება როგორც გადაუდებელი (პოსტკოიტალური) კონტრაცეპტივი. სადაც პოსტინორი ხელმისაწვდომია, ის უნდა განიხილებოდეს როგორც გადაუდებელი კონტრაცეპციის ერთ-ერთი სახეობა, მინი-პილები შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული, მაგრამ მათი გამოყენების გამოცდილება ნაკლებად არსებობს.*

4. შეიძლება დეპო-პროვერას ინექციის დანიშვნა გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების ნაცვლად?

***პასუხი:*** *არა. დეპო-პროვერას ინექციის, როგორც კონტრაცეპტივის ეფექტურობა ორსულობის თავიდან ასაცილებლად ძალიან ნელია, რადგან ის ქალის სხეულში დიდი ხნის განმავლობაში შეიწოვება.*

5. როგორ უნდა მოიქცეს ქალი, რომელსაც აღენიშნება მძიმე ფორმის ღებინება გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების პირველი დოზის მიღების შემდეგ და რომელიც ვერ ღებულობს მეორე დოზას?

***პასუხი:*** *თუ მას მძიმე ფორმის გულისრევა აქვს, ერთ-ერთი გამოსავალია აბების მეორე დოზის ვაგინალურად გამოყენება. თუმცა კვლევა არ დასრულებულა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ეფექტურია ეს, გადაუდებელი და ლევონორგესტრელის შემცველი კონტრაცეპტივები საშვილოსნოს კედელში შეიწოვება. თუ ქალს სხვა გამოსავალი არა აქვს (მძიმე ღებინებაა), კონტრაცეპტივების ვაგინალურად გამოყენება უფრო მისაღებია, ვიდრე მეორე დოზის არ მიღება. უთხარით ქალს, რომ მკურნალობა, შესაძლოა, ნაკლებ ეფექტური იყოს, თუ ის მეორე დოზას არ მიიღებს.*

6. შეიძლება ქალს ვურჩიოთ გადაუდებელი კონტრაცეპციის გამოყენება, თუ მას დაუცველი სქესობრივი კავშირი ჰქონდა იმ დღეს, როდესაც ორსულობის რისკი ძალიან დიდი არ იყო?

***პასუხი:*** *დიახ. ხშირად ქალი დარწმუნებული არ არის, რომ ციკლის განმავლობაში ნებისმიერ დროს მას ორსულობის რისკი არ ემუქრება. ამიტომ, მან უნდა მიიღოს გადაუდებელი კონტრაცეპტული აბები ნებისმიერი დაუცველი სქესობრივი ურთიერთობის შემდეგ და როდესაც ქალი შიშობს, რომ დაორსულების რისკის ქვეშაა.*

7. შეიძლება გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების გამოყენება ერთზე მეტი დაუცველი სქესობრივი კავშირის შემდეგ?

***პასუხი:*** *დიახ. გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების მიღება არ უნდა შეწყვიტოს ქალმა, თუ მას ერთზე მეტი დაუცველი სქესობრივი კავშირი ჰქონდა, თუკი ის უკვე ორსულად არ არის. ამიტომაც ქალებს უნდა ეცნობოთ, რომ რამდენადაც დიდია ინტერვალი ბოლო დაუცველ სქესობრივ კავშირსა და გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების მიღებას შორის იმდენად მცირდება გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების ეფექტურობა. Qქალები უნდა წააქეზოთ, რომ რაც შეიძლება მალე მიიღონ გადაუდებელი კონტრაცეპტული აბები დაუცველი სქესობრივი კავშირის შემდეგ და არ დაელოდონ მომავალ დაუცველ სქესობრივ კავშირებს. გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების მხოლოდ ერთი დოზა უნდა მიიღოს ქალმა ერთ ჯერზე მანამდე დაუცველი სქესობრივი კავშირების რაოდენობის მიუხედავად.*

8. შეიძლება გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების გამოყენება სქესობრივი კავშირის დამყარებამდე?

***პასუხი:*** *დიახ. არ არსებობს მონაცემები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენ ხანს გასტანს გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების კონტრაცეპტული ეფექტი მათი მიღების შემდეგ. სავარაუდოდ გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების მიღება უშუალოდ სქესობრივი კავშირის დამყარებამდე ისეთივე ეფექტურია, როგორც მათი*

*მიღება უშუალოდ სქესობრივი კავშირის შემდეგ, ამიტომ რეკომენდირებულია, რომ ქალმა დაგეგმოს კონტრაცეპტული მეთოდის გამოყენება სქესობრივ კავშირამდე თუ ამის შესაძლებლობა აქვს, არა გადაუდებელი კონტრაცეპტული აბები, არამედ ისეთი როგორიცაა კონდომები ან სხვა ბარიერული მეთოდები.*

9. თუ გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების შესახებ ინფორმაცია ფართოდ გავრცელდება, შესაძლებელია თუ არა, რომ გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების არასწორი ან ზედმეტი მოხმარება გახდეს პრობლემა?

***პასუხი:*** *ქვეყნებში, სადაც გადაუდებელი კონტრაცეპცია ცნობილია და ხელმისაწვდომი, არ არსებობს მათი არასწორად გამოყენების პრობლემა. თუ გადაუდებელი კონტრაცეპტული აბები მართებული ინსტრუქციის თანხლებით იქნება ხელმისაწვდომი ოჯახის დაგეგმვის სერვისის საშუალებით სამედიცინო დაწესებულებებში, ეს ხელს შეუწყობს მათი არასწორი და ხშირი გამოყენების რისკის შემცირებას და ასევე უზრუნველყოფს პაციენტისათვის შემდგომი კონსულტაციისა და კონტრაცეპტული მომსახურეობის გაწევას.*

10. თუ ქალი იყენებს გადაუდებელ კონტრაცეპტულ აბებს, როგორც სტანდარტულ კონტრაცეპტივებს, როგორ ფიქრობთ წარმოადგენს ეს ფაქტი პრობლემას?

***პასუხი:*** *დიახ. Kკონტრაცეპტული ეფექტი ძალიან დაბალი იქნება. გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების ხშირმა გამოყენებამ შეიძლება აგრეთვე გამოიწვიოს მენსტრუალური ციკლის დარღვევა და მენსტრუაციებს შორის პერიოდული სისხდენა (მცირე რაოდენობით სისხლიანი გამონადენი). სამედიცინო პირებმა უნდა ამცნონ ქალებს, რომ გადაუდებელი კონტრაცეპცია არ არის ძალიან ეფექტური და ხელსაყრელი როგორც კონტრაცეფციის სხვა რეგულარული მეთოდი.*

11. გადაუდებელი კონტრაცეპტული აბები ურთიერთქმედებს სხვა წამლებზე?

***პასუხი:*** *განსაკუთრებული მონაცემები არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაუდებელი კონტრაცეპტული აბები პაციენტის მიერ სხვა წამლების გამოყენებას უშლიდეს ხელს. თუმცა, როგორც ჩანს მედიკამენტთა ურთიერთქმედება იგივე იქნება რეგულარულ ორალურ კონტრაცეპტივებთან მიმართებაში. ქალებს, რომლებიც იყენებენ ისეთ წამლებს, რომლებმაც შეიძლება შეამციროს ორალური კონრაცეპტივების ეფექტურობა (მაგ. რიფამპინი, ზოგიერთი ანტიკონვულსიური წამალი) უნდა ურჩიოთ, რომ გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების ეფექტურობა შეიძლება შემცირდეს. Aამ შემთხვევაში თქვენ შეიძლება გაზარდოთ ჰორმონების რაოდენობა გადაუდებელ კონტრაცეპტულ აბებში ერთ ან ორივე დოზაში ჰორმონების რაოდენობის გაზრდით ან დამატებითი დოზის მიცემით.*

12. შეიძლება ქალმა მიიღოს გადაუდებელი კონტრაცეპტული აბები დაუცველი სქესობრივი კავშირიდან სამი დღის (72 საათის) შემდეგ?

***პასუხი:*** *ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ გადაუდებელ კონტრაცეპტულ აბებს შეიძლება რაღაც კონტრაცეპტული ეფექტი ჰქონდეს ორსულობისაგან დასაცავად დაუცველი*

<u>ტრენერის დოკუმენტი</u>

*სქესობრივი კავშირის შემდეგ ხუთი დღის ვადაში, როდესაც იმპლანტაციის პროცესი იწყება. 72 სთ-ის განმავლობაში ეფექტურობის კვლევამ უჩვენა, რომ დაორსულების რისკი იზრდება დროის ზრდასთან ერთად, მაგრამ გადაუდებელი კონტრაცეპცია შესაძლოა რაღაც დოზით ეფექტური იყოს 72 საათის შემდეგაც. თუმცა პაციენტმა უნდა იცოდეს, რომ მისი დაორსულების შესაძლებლობა შეიძლება გაიზარდოს იმ ქალთან შედარებით, რომელიც გადაუდებელ კონტრაცეპტულ აბებს ღებულობს სამი დღის (72 საათის) განმავლობაში.*